რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

15 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ადმინისტრაციულ ორგანოთა და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პარტიული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. გლადიშევი.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა იმსჯელეს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შედეგებსა და ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებიდან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. შ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დ. ნ. ჭყვალიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. გ. პარასტაევი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. შადური, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ფოფხაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ს. მ. ჯორბენაძე, ახალქალაქის რაიონის პროკურორი ი. ო. აბრამიანი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი.

პარტიული აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12
(7073)
17
1982 წ.
იანვარი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის შესახვედრად

თბილისის № 1 მექანიკურ ქარხანაში სულ უფრო პოპულარული ხდება ფიზკულტურა და სპორტი. ქარხნის დირექცია ილვწის სკკპ XXVI ყრილობის განაწესის იმ პუნქტის შესასრულებლად, სადაც ლაპარაკია მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი აღმავლობის შესახებ. ქარხნის ფილიალის წარმოების უფროსი გ. კონტრიძე გარდა იმისა, რომ ზრუნავს საწარმოო დავალებების განაღდებისთვის, დიდ დროს უთმობს ფიზკულტურული საქმიანობის უკეთ წარმართვის საქმეს.

ახლა ქარხნის კოლექტივი, მისი ფიზკულტურული საბჭო საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის შრომით ვახტზე დგას — ყველა გაორკეცებული ენერგიით შრომობს იანვრის დავალებათა შესრულებისთვის. **ზედა ფოტოზე** (შუაში) ხედავთ გ. კონტრიძეს, რომელიც მუშა-სპორტსმენებს სამუშაო გეგმებს აცნობს. **ქვევით** — საქარხნო სპარტაკიადის შეჯიბრება ჭადრაკში. დაფასთან სხედან წყალქვეშ ცურვაში სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ხრიაშჩოვა (მარცხნივ) და ინჟინერი, მეორე თანრიგოსანი კალათბურთელი ს. სელიუნინა. ქარხანას ჰყავს სხვა მუშა-სპორტსმენებიც, რომლებიც წარმატებით იცავენ კოლექტივის ღირსებას, აი, ისინიც: მსროლელები ნ. პოპოვი და თ. პაპაშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი გ. ტონჯიევი, ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ე. მიქაელიანი და სხვები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

მეექვსე ჯგუფში

გუშინ მადრიდში გაიმართა ფეხბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა.

სსრ კავშირის ნაკრები მოხვდა VI ჯგუფში:

ბრაზილია

შოტლანდია

სსრ კავშირი

ახალი ზელანდია

● ერთიანი პოლიტდღე

ურთიერთსასარგებლო შეხვედრები

გუშინ საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ფალავანთა კლუბში, საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზზე, უმაღლესი დაოსტატების № 1 სკოლაში, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა საწვრთნელ ბაზაზე, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“ სპორტსაზოგადოებებში, სხვა სპორტულ ბაზებზე გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრთა შეხვედრები რესპუბლიკის სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, სპორტის სპეციალისტებთან.

ერთიანი პოლიტდღის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილების შუქზე ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა სადღეისო ამოცანების გადაწყვეტის გზების შესახებ.

შეხვედრებზე ისაუბრეს უმაღლესი დაოსტატების სკოლების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა, ნაკრები გუნდებისა და ოსტატთა კოლექტივების, თითოეული მაღალი კლასის სპორტსმენის, სპორტის სპეციალისტის წინაშე მდგარ კონკრეტულ ამოცანებზე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ფალავანთა კლუბში საუბარს ატარებს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● წყალბურთი

იწყება II ტური!

სამშაბათს, 19 იანვარს საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დაიწყება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის მეორე ტურის მატჩები. სარბიელზე გამოვლენ სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (სსფ ცსკ), მინსკის ასკ-ს, ტაშკენტის „მეხნატის“, მოსკოვის „მოსკვიჩის“, ალმა-ათისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილენი კიევში იასპარეზებენ.

ამ ეტაპზე გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: 9-9 ქულით ლიდერობენ მოსკოვის „დინამო“ და „უნივერსიტეტი“. მომდევნო ადგილებზე არიან ალმა-ათის „დინამო“ — 8 ქულა, სსფ ცსკ და კიევის „დინამო“—7-7, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო)—6, თბილისის „დინამო“ — 5, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი) —3, ლვოვის „დინამო“, ტაშკენტის „მეხნატი“, მინსკის ასკ — 2-2 და „მოსკვიჩი“ — 0.

თბილისში მომავალ შეხვედრათა განრიგი ასეთია: 19 იანვარი. „დინამო“ (ალმა-ათა) — სსფ ცსკ, „მოსკვიჩი“—ასკ, **„დინამო“ (თბილისი) — „მეხნატი“**; 20 იანვარი. „მეხნატი“ — „დინამო“ (ალმა-ათა), სსფ ცსკ —„მოსკვიჩი“, ასკ — **„დინამო“ (თბილისი)**; 22 იანვარს, ტურის ბოლო დღეს, ერთმანეთს შეხვდებიან: „მოსკვიჩი“ — „მეხნატი“, „დინამო“ (ალმა-ათა) — ასკ, **„დინამო“ (თბილისი)—სსფ ცსკ.**

პირველ ორ დღეს შეხვედრები 18 საათზე, ხოლო ბოლო დღეს 12 საათზე დაიწყება.

ამას წინათ საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში გაიმართა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული ექიმის სოსო (იოსებ) ასლანიშვილის დაბადებიდან 90 წლის თავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც მოაწყო საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ, გეოგრაფიულმა საზოგადოებამ და მედიცინის ისტორიკოსთა საზოგადოებამ.

„ვინც სიცოცხლეში ხალხს ემსახურა“

1947 წელს, ადრიან გაზაფხულზე, კავკასიონზე გადაფრენისას უგზოუკვლოდ დაიკარგა თბილისიდან მოსკოვში მიმავალი თვითმფრინავი „დუგლას-952“. ქართველი მთამსვლელები თვითმფრინავის, მისი ეკიპაჟისა და მგზავრების მოსაძებნად წავიდნენ მთაში.

იქ კი ჯერ ისევ ზამთარი სუფევდა. მთამსვლელებმა მუხლამდე თუ წელამდე თოვლში გადაიარეს დონღუზ-ორუნის, მამისონის, მარი-ოვცაგისა და სხვა ზეკარები. დაზვერეს დოლომისწვერის, ხალაცას, კოზი-ხოხის, საუ-ხოხის, ლესქეს, წითელას და გორმაღალას მწვერვალთა გადაღმა თუ გადმოღმა ფერდობები.

ძებნა ძნელი იყო და სახიფათო. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. დროდადრო ცადაზიდული მთებიდან ზვავი წყდებოდა და გზად ყველაფერს სპობდა. გათოშილი, ნახევრადმშიერი მთამსვლელები სტიქიას არ ეპუებოდნენ და შეუპოვრად აგრძელებდნენ ძებნას. მათ შორის იყო ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი პიონერი სოსო (იოსებ) ასლანიშვილი.

— სოსო ასლანიშვილი იმ დროს 56 წლისა იყო, — იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი ობოლაძე.—ამ ხნის მამაკაცს ძალა კიდევ ერჩის, თუმცა მთაში, და ისიც ძნელ პირობებში, ახალგაზრდულად აღარ უჭრის მკლავი და მუხლი. მაგრამ ასლანიშვილი ფოლადივით გამოწრთობილი გახლდათ და ბევრ ჭაბუკზე მეტიც შეეძლო. გარდა ამისა, რად ღირდა თუნდაც მისი გამოცდილება. ასლანიშვილი ხომ ექიმი იყო. ჩვენს ჯგუფში კი მედიკოსის ყოფნა დიდი ამბავი გახლდათ.

თუ ქართველ მთამსვლელთა, და საერთოდ საბჭოთა ალპინისტების ვინაობას გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ ისინი მრავალმხრივ განვითარებული, განათლებული და დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანები არიან.

სოსო ასლანიშვილი წერდა: „საქართველოს მთამსვლელები შრომის სხვადასხვა დარგის მუშაკები არიან. თითოეულ მათგანს საკუთარი წვლილი შეაქვს მშრომელი ხალხის კეთილდღეობის შექმნის საქმეში, მის წარმატებათათვის ბრძოლაში და ამის პარალელურად გატაცებით ეწევიან სპორტულ საქმიანობას“.

ამ სიტყვებს სხვათა მისამართით წერდა, მაგრამ თვითონ ერთ-ერთი უპირველესი იყო მათ შორის.

...სოსო ასლანიშვილი — მთამსვლელი, ექიმი, გეოგრაფი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ხელოვანთა შემწე და მოამაგე, რომელმაც თავის მოღვაწეობის ყველა სფეროში ღრმა კვალი დატოვა. ეს ნათელია მისი ბიოგრაფიის თვალის ერთი გადავლებითაც:

1931 წელს სოსო ასლანიშვილი იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად ოსეთის კავკასიონზე აწყობს პირველ საბჭოურ ასვლას მწვერვალ უილფათაზე, მომდევნო წელს ქართველი მთამსვლელები ასლანიშვილის ხელმძღვანელობით აწყობენ პირველ ასვლებს კავკასიონის მწვერვალებზე: უდენაზე და ფასის მთაზე. იმავე წელს ასლანიშვილის მეთაურობით პირველ საბჭოურ ასვლებს ახორციელებენ შარი-თაუზე, შოდაზე, გეზე მცირეზე და მაჩხაფარზე. მომდევნო წელს ასლანიშვილის ჯგუფი ალპინიზმის ისტორიაში პირველი ადის აფხაზეთის კავკასიონის მწვერვალებზე მარუხზე და ერთ უსახელო მწვერვალზე (3440 მ), აწყობს პირველ საბჭოურ ასვლებს ერცახზე, აჭაფარა-პტიშზე.

მალე [illegible] უშბის ჯერიც დადგა. იგი ანდამატივით იზიდავდა მთამსვლელებს.

უშბის შესახებ 1889 წელს „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

„ყველა მოგზაურნი, რომელნიც კი სვანეთში ყოფილან, ერთის ხმით სწერენ და ამბობენ, რომ მთელს კავკასიაში მაგისთანა დიდებული, ლამაზი და თავისებური მთა არ მოიპოვებაო და სხვა რომ არ იყოს-რა საინტერესო სვანეთში, მარტო იმისთვის ღირს იქ წასვლა, რომ ამ მთას შეხედოს და ისიამოვნოს ადამიანმაო“.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ქართველ მთამსვლელებსაც იქით გაუწია გულმა.

„საქართველოს მთამსვლელები თავიდანვე ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ უშბის მწვერვალით. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს მთამსვლელობის არსებობის პირველი ათი წლის დასასრულს, როდესაც ჩვენს ალპინისტებს უკვე მრავალი მიღწევა ჰქონდათ მოპოვებული, ყველა მთამსვლელის მისწრაფება უშბისკენ იყო მიმართული“.—წერდა სოსო ასლანიშვილი.

უშბაზე ასვლა დღესაც მხოლოდ ფრიად მაღალკვალიფიციურ მთამსვლელთა წილხვედრია. მაშინ კი ეს მეტად ძნელი, სახიფათო და სათუო საქმე იყო. ამიტომ 1933 წელს საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოების სამთო-სათხილამურო სექციის თაოსნობით ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „უშბის კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ სოსო ასლანიშვილი აირჩიეს და, ამით, ალბათ, ბევრი რამ ითქვა.

ქართველმა მთამსვლელებმა დაიმორჩილეს უშბა. ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო, პირველი საბჭოური ასვლა ამ მწვერვალზე. მართალია, ამსვლელთა შორის არ იყო სოსო ასლანიშვილი, მაგრამ მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ დიდ გამარჯვებაში — „უშბის კომიტეტი“ აწარმოებდა ასვლის მოსამზადებელ სამუშაოებს, აგროვებდა მწვერვალზე ამსვლელთა აღწერილობებს, ადგენდა შესაძლებელი მარშრუტების გეგმებს, აგვარებდა მრავალ საორგანიზაციო საკითხს.

საბჭოთა ალპინიზმის განვითარების საქმეში დიდი წვლილის შეტანისთვის სოსო ასლანიშვილს ქართველ მთამსვლელთაგან პირველს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

ასლანიშვილი მთაში დადიოდა არა როგორც მხოლოდ მთამსვლელი, არამედ როგორც მკვლევარი. 1933 წელს, როცა ქართველი მთამსვლელები ასლანიშვილის მეთაურობით პირველნი ავიდნენ აფხაზეთის მწვერვალებზე, მაშინ ექსპედიციამ, საქართველოში პირველმა გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოიკვლია და შეისწავლა კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის მთათა სისტემა. მანამდე, 1932 წელს ასლანიშვილი სათავეში ჩაუდგა საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოების და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გაერთიანებულ ექსპედიციას, რომელიც რაჭის მთიანეთს იკვლევდა.

სოსო ასლანიშვილი იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, აგრეთვე პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების სულისჩამდგმელი, იგი იყო ამ საზოგადოების სამეცნიერო ტურიზმის განყოფილების თავმჯდომარე და ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით მთების შესწავლის საქმეში.

სოსო ასლანიშვილს მთისკენ პროფესიული ინტერესებიც ეწეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისა და მთამსვლელთა სპეციალური ექსპედიცია სვანეთში, რომელიც 1925 წელს მოეწყო ჩიყვის გამომწვევი მიზეზების გამოსაკვლევად. ექსპედიციას სოსო ასლანიშვილი ხელმძღვანელობდა.

მაშინ სვანეთში ჯერ კიდევ ფიქრობდნენ, რომ ჩიყვი ღვთის ბოძებული რამ იყო. სოსო ასლანიშვილი კი სოფელ-სოფელ დადიოდა. სინჯავდა ავადმყოფებს, იკვლევდა ჩიყვის დაავადების გამომწვევ მიზეზებს. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად დაადგინა, რომ ამ დაავადების გამომწვევი მიზეზი სვანეთში იოდის ნაკლებობა იყო. არადა, სვანეთში მრავლად იყო იოდით მდიდარი მინერალური წყლები — სგიმი და მორელი, რომლებსაც სვანები არ იტანებოდნენ.

რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გაიოზ ვადაჭკორია:

„სოსო ასლანიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩიყვის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, მის ენდემიურ მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. სოსო ასლანიშვილი საქართველოს დამსახურებული ექიმი იყო, მაგრამ რომ არსებობდეს სახალხო ექიმის წოდება, მას ივანე გომართელთან და ზურაბ გიგინეიშვილთან ერთად სოსო ასლანიშვილსაც მიანიჭებდნენ“.

ენდემიური ჩიყვის მკურნალობაში ასლანიშვილის უდიდესი დამსახურების აღიარებაა ისიც, რომ დღეს საქართველოს ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტი იოსებ ასლანიშვილის სახელს ატარებს.

გავიხსენოთ მთამსვლელ ვანო წიკლაურის მიერ თქმულიც:

— 1928 წელს, მყინვარწვერზე ასვლისას, სოსო ასლანიშვილი თავისას არ იშლიდა, ხშირ-ხშირად გვსინჯავდა მაჯისცემას, სუნთქვის სიხშირეს: იკვლევდა დიდ სიმაღლეზე წნევის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. ასე იყო სხვა ასვლების დროსაც. ხანგრძლივი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად მან გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი სათაურით „მთის სნეულება“.

მთიდან დაბრუნებული სოსო ასლანიშვილი ლაშქრობების შესახებ [illegible] სტატიებს, ნარკვევებს, წიგნებს. თავისი ჟურნალისტური და პუბლიცისტური მოღვაწეობა მან სტუდენტობის წლებში დაიწყო. ს[illegible] 260-მდე ნაშრომი გამოაქვეყნა სტატიის, ნარკვევის, სამეცნიერო ნაშრომისა თუ წიგნის სახით. არის ავტორი უაღრესად საინტერესო წერილისა სათაურით — „ძველი სამცხე-საათაბაგო“. მის ნაშრომებში მჟღავნდება ავტორის მრავალმხრივი ცოდნა, დიდი ერუდიცია.

მკვლევართათვის ძალზე საინტერესოა სოსო ასლანიშვილის წიგნი „ალპინიზმ ვ გრუზიი“, რომელიც პირველ ნაშრომად ითვლება ქართული მთამსვლელობის ისტორიაზე. ასლანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ზოგი რამ ვიცით იოსებ მოხევის შესახებ, რომელიც გადმოცემის მიხედვით პირველად ასულა მყინვარწვერზე. ასლანიშვილმა ქართული ალპინიზმის ისტორიაში მიუჩინა ადგილი ძველ გამყოლებს, რომლებიც უცხოელ ალპინისტებთან ერთად ადიოდნენ კავკასიონის მწვერვალებზე.

ამ წერილში რამდენჯერმე გავიხსენეთ ასლანიშვილის სიტყვები, რომელიც ამოვიწერეთ წიგნიდან „მთამსვლელობა საქართველოში“. ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი[illegible], გიგინეიშვილთან და [illegible] ფურცელაძესთან ერთად იოსებ ასლანიშვილიც გახლავთ. წიგნი ასლანიშვილის რედაქტორობით გამოვიდა.

სოსო ასლანიშვილმა ღრმა ხნული გაავლო თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მის თანამედროვეთა ხსოვნაში დარჩა ადამიანად ყოველგვარი წოდებებისა და ტიტულების გარეშე. იგი ყველას ხიბლავდა თავისი უბრალოებით და გულისხმიერებით. სხვისი ჭირი მისი ჭირი იყო. განა ამაში არ გვარწმუნებს ის ამბავი, რომ იგი 56 წლისა ახალგაზრდებთან ერთად [illegible] კავკასიონზე უგზოუკვლოდ დაკარგული თვითმფრინავის მოსაძებნად, განა მის გულისხმიერებაზე არ მეტყველებს ის, რომ სვანეთში ჩიყვით დაავადებულთა გამოსაკვლევად ეზო-ეზო დადიოდა? აი, ამიტომაც ამბობენ მისი თანამედროვენი — სახალხო ექიმის წოდება რომ არსებობდეს, მას ერთ-ერთ პირველთაგანს სოსო ასლანიშვილს მიაკუთვნებდნენო.

ასლანიშვილზე და მის დარ ადამიანებზე შეიძლება ითქვას: „ვინც სიცოცხლეში ხალხს ემსახურება, მისთვის სიკვდილი მხოლოდ ამაღლებაა“.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ს. ასლანიშვილი (მარცხნივ) და ა. ჯაფარიძე.

ესპანეთი ელის ფინალისტებს

ESPANA 82

მადრიდი, 15 იანვარი. (საქდესის კორესპონდენტი). „ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციის საქმე საიმედო ხელთაა, რამე შესაშფოთებელი საბაბი არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს“.— განაცხადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა, რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა მადრიდში.

ეს მაღალი შეფასებაა ჩემპიონატის მასპინძელთათვის და საიმედო გარანტია მსოფლიო პირველობაზე მებრძოლი გუნდებისთვის, თუმცა ჩემპიონატის მასპინძლები არ მალავენ, რომ საზრუნავი მათ ჯერ კიდევ საკმარისად აქვთ. ჩემპიონატის ჩატარების დრო გაცხარებულ ტურისტულ სეზონს ემთხვევა, „ტურისტული ინდუსტრიის“ შემოსავალი კი ესპანეთში, როგორც ცნობილია, ძალზე დიდია. და მაინც, მთავარი საზრუნავი ჩემპიონატს უკავშირდება.

მადრიდში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა გართულია პროგნოზებით. ესპანეთის სააგენტო ეფე ჯეროვნად აფასებს საბჭოთა ნაკრების ძალას. სააგენტო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი უფრო სერიოზული პრეტენდენტია, რომ ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან ბლოხინი, შენგელია, ყიფიანი, ჩივაძე, „ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე“ შეუძლიათ დაიკავონ ღირსეული ადგილი ნებისმიერ ევროპულ გუნდში. ქებით მოიხსენიეს მეკარე დასაევიც. ეფე აღნიშნავს, რომ ისეთი გუნდის შექმნა, რომელსაც შეუძლია ლათინურამერიკული სტილითაც ითამაშოს და ამავე დროს სათანადო სიმტკიცე გამოავლინოს, მისი მწვრთნელის კ. ბესკოვის დიდი დამსახურებაა.

ტელევიზორებთან, ტელევიზორებთან!!!

დაახლოებით ამგვარი მოწოდება გამოაქვეყნა საერთაშორისო სატელევიზიო კონსორციუმმა, რომელმაც ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციის უფლება შეისყიდა.

ტელეკომპანიას ნავარაუდევი აქვს, რომ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს იხილავს დაახლოებით 1.500.000 ადამიანი.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ტელეგადაცემით უშუალოდ დაინტერესებულია მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტიც ე. წ. „ელექტრონული პრესა“ — უამრავი კორესპონდენტი, კომენტატორი და ტექნიკური მუშაკი ჩამოვა ესპანეთში. მათ უნდა შეექმნათ საუკეთესო პირობები. ყოველ გადამცემ არხს ჰპირდება საგანგებო მეთვალყურეობა და მოვლა.

ცხადია, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეგადაცემები ყველაზე უფრო რთული იქნება, რაც კი აქამდე ყოფილა. თუ ადრე ჩემპიონატების ფინალებში გამოდიოდა 16-16 გუნდი, ახლა მათი რაოდენობა გაიზარდა 24-მდე. არგენტინაში თამაშები მიმდინარეობდა სულ 5 ქალაქში, ესპანეთში კი გადაცემები იწარმოებს 14 ქალაქის 17 სტადიონიდან. გარდა ამისა, უწინ ფინალში გათვალისწინებული იყო 38 მატჩი, ახლა კი მათი რაოდენობა 52-ია. რა თქმა უნდა, ყველაფერი გართულებულია, ტელეგადაცემათა მაღალ დონეზე წარმართვას საგანგებო ორგანიზაცია და ყურადღება ესაჭიროება.

ესპანელებმა გამოიანგარიშეს, რომ ტელეკომუნიკაციათა სრულყოფას დასჭირდება 10.500 მილიონი პესეტი. აქ გათვალისწინებულია ზოგიერთი მოძველებული სატელეტრანსლაციო პუნქტისა და არხის რეკონსტრუქცია, გადაცემათა ტექნიკური უხარვეზობის უზრუნველყოფა, საკომენტატორო კაბინების მოწყობა სტადიონებზე, თანამედროვე ტიპის აღჭურვილობის შესყიდვა და ა. შ.

ეჭვი არავის ეპარება, რომ დიდი შემოსავალი დაფარავს წინასწარ გაწეულ ხარჯებს, ამასთან ტელეგადაცემათა კომიტეტმა ისიც გამოაცხადა, რომ ტრანსლაცია იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ფერადი გამოსახულებით.

საგანგებოდ ემზადებიან ტელერეპორტაჟისთვის ქ. ბარსელონაში, სადაც გაიმართება ჩემპიონატის გახსნა და პირველი მატჩი, აგრეთვე მადრიდში, სადაც მოხდება XII მსოფლიო ჩემპიონატის დახურვა და ჩატარდება ფინალური მატჩი.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პროვინციულ ქალაქებს მეორე პლანზე დააყენებენ, ყველას უნდა თავისი მიეზღოს, ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი უნდა გამოჩნდეს ეკრანზე. ეტყობა, მთელი რიგი მატჩები გადაიცემა მონტაჟის სახით, აჩვენებენ ყველაზე საინტერესო მომენტებს, ვინაიდან სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად იწარმოებს შეხვედრები და დღე-ღამეს დრო არც ეყოფა ყოველი მათგანის ჩვენებისთვის.

ერთი სიტყვით, 13 ივნისიდან 11 ივლისამდე — ყველანი ტელევიზორებთან!

ასე ფიქრობს ხუანიტო

ბერლინის გაზეთ „იუნგე ველტის“ კორესპონდენტი მ. ჰოინელი ამ დღეებში ესაუბრა ცნობილ ესპანელ ფეხბურთელს ხუანიტოს (ხუან გომეს გონსალესს).

ხუანიტომ თავისი გუნდი — ესპანეთის ნაკრები არ მიიჩნია მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად. ასეთებად მან დაასახელა ბრაზილიელები, გფრ-ის ნაკრები, პოლონელები და „თუ ბოლო წლის მიხედვით ვიმსჯელებთ, საბჭოთა გუნდი“. ხუანიტოს აზრით, ოთხივე ეს გუნდი თავისი შეწყობილი თამაშით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ესპანელი თავდამსხმელის აზრით, ყველა ძლიერმა გუნდმა ხელი უნდა აიღოს ე. წ. „სუსტების“ შეუფასებლობაზე. შეიძლება იოლად მოხდეს, რომ გუნდმა, რომლისგან მაინცდამაინც არაფერს ელიან, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს, ვინაიდან საერთაშორისო ფეხბურთს ახლა გათანაბრების ტენდენცია აქვს.

შემდეგ ხუანიტო შეეხო მსოფლიო ჩემპიონს — არგენტინის ნაკრებს და თქვა, რომ მის წინაშე მეტად სერიოზული პრობლემები დგას. მართალია, 1978 წელს არგენტინელთა თამაში დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა. თუ მარადონა ნაკრებს განუდგა, ამას ერთობ უარყოფითი შედეგები უნდა მოჰყვეს, ვინაიდან იგი თითქმის ნახევარ გუნდს უდრის.

ხუანიტომ ილაპარაკა ფინალის მონაწილეთა რიცხვის 16-დან 24-მდე გადიდების საკითხზეც და თქვა, რომ ამით უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნება საერთაშორისო ფეხბურთში შექმნილ სიტუაციაზე. დაბოლოს, მან განაცხადა, რომ იგი ახლა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში უეფა-ს თასზეც მონაწილეობს და ქვეყნის ჩემპიონატშიც, მაგრამ მთავარი მაინც მსოფლიო ჩემპიონატია, რომლის დაწყების მომენტისთვის ესპანეთის ნაკრების მზადყოფნის დონე რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს.

პროგნოზები, პროგნოზები...

ინგლისის გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ. კერძოდ, გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ბლოხინი, ყიფიანი, ჩივაძე და შენგელია, საბჭოთა ნაკრებს საუკეთესო პერსპექტივებს უქმნიან ფინალურ გათამაშებაში. გაზეთი წერს, რომ ბევრი ცნობილი ექსპერტის ვარაუდით ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდები.

სხვა აზრისა არიან ინგლისელი ბუკმეკერები. მათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად მიაჩნიათ არგენტინის ეროვნული გუნდი. მათი კლასიფიკაციით სსრ კავშირის ნაკრები მეექვსე ადგილზეა არგენტინის, ესპანეთის, ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდების შემდეგ.

„ლელოს“ პუბლიკაცია

ფალავანთა ფალავანი

საჭიდაო ქვის თავსზევით აწევაზე ან ალკაზმული ცხენის უნაგირზევით გადაგდებაზე ხომ არც არავინ ფიქრობდა. მსაჯულთა აზრით საქართველოში ასეთი ფალავნები უკვე აღარ იყვნენ, მიუხედავად ასეთი შეხედულებისა. კარგად შეზარხოშებულმა თავადმა თარხნიშვილმა დაიყინა, თეთრი ცხენი შეაკაზმინა და მოედანზე გამოაყვანინა.

— არ იცით? მადა ჭამაში მოდის,—ღიმილით თქვა მან, —თუ ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდება, ვინც საფალავნო ლოდს უნაგირზე გადააგდებს, ცხენიც იმისათვის მიჩუქებია და უნაგირიც!

ზოგს ეგონა თავადი მასხარად გვიგდებსო, მაგრამ ფაქტი იყო, რომ კოხტად ალკაზმული ქურანი ცხენი ორ ჭაბუკს სადავით ეჭირა, ბიჭებს ნაბდის ქუდები მოეხადათ და ცხენისათვის თვალებზე დაეფარებინათ. რომ არ დამფრთხალიყო და ხალხი არ გაეთელა. ბევრ ახალგაზრდას აღეძრა მადა ვაჟკაცობის გამოჩენის და მით უმეტეს დიდძალი ვერცხლისა და ბედაურის დაუფლებისა, მაგრამ ქვის დამძვრელი კაცი არ ჩანდა. ტყუილად ეჯაჯგურებოდნენ ლურჯ ქვას. ამ დროს ნოსტელი ხიზამბარელი შეკრული წრის უკან მდგარა, ოდნავ შეზარხოშებული, სამუშაო ტანსაცმლით. ქვითკირის გოდოლივით ტანჩადგმული და ბეჭგანიერი მშვიდად დაჰყურებდა ლოდს შეჭიდებულ ჭაბუკებს, იცოდა, მალე აქ ჭიდაობა გაიმართებოდა და საყურებლად მოსულიყო. სამი თვის მუშაობით და ხარაჩოზე დგომით მოქანცულს, ფიქრადაც არ მოსვლია ან ამ ლოდს შებმოდა, ან ჭიდაობაში ეცადა ბედი.

ყველაზე მეტს ერთი გალმამხრელი ვაჟკაცი წვალობდა ტანმორჩილი და ბრგე იყო, ღონიერი მკერდი და მკლავები ჰქონდა. ლოდს აღარ ეშვებოდა და ერთხელ ისე ასწია. კინაღამ ქარი გაატარა ქვის ქვეშ. მას ჭომაგად თავადი ამილახვარი ჰყავდა. აქეზებდა და აგულიანებდა.. მაგრამ მან ლოდის ქვეშ მხოლოდ ქარის გატარება შეძლო. თავადი თარხნიშვილი თავის ყმებს აგულიანებდა, ჯილდო გალმამხრელ კაცს როგორ უნდა გაატანოთო.

უცებ მან თვალი მოჰკრა ხიზამბარელის გაფშეკილ ქოჩორსა და შემღვრეულ თვალებს. ხელი დაუქნია:

— სიკვდილსაც დავიწყებიხარ, ხიზამბარელო!

ხიზამბარელმა ხალხი მისწი-მოსწია და წინ წამოდგა. ხალხმა ახოვანი ვაჟკაცის დანახვაზე უკან დაიხია. ხიზამბარელი დარცხვენილი იდგა. თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო, ყოყმანობდა, ხან ლოდს გადახედავდა, ხან იქვე მსხდარ ღონენაცად ახალგაზრდებს გადაავლებდა თვალს, თითქოს მათ გულმკერდსა და მკლავებს ზომავდა.

თარხნიშვილმა იმედიანად შეავლო თვალი თავისი კალატოზის მხარბეჭს: „ხიზამბარელო, აგავსებ, თუ შერცხვენისაგან დამიხსნიო!“ — მიაძახა და ხალხს გადახედა. ყველა განაბულიყო სეირის საყურებლად, ყველას ცნობისმოყვარეობით დაბრეცოდა სახე. წელზევით გაშიშვლებულ, დაწითლებულ გალმამხრელ ბიჭს წრის ნაპირას ცალ მუხლზე ჩაეჩოქა, ავად და გამომწვევად გასცქეროდა ანაზდეულ მეტოქეს.

კალატოზი ლოდს მიუახლოვდა, კირით მოთხვრილ ფეშტამალზე დიდრონი, კალოს საქცევი ფიწლისოდენა ხელები ჩამოისვა, მერე თარხნიშვილს შეხედა, ჩაიცინა და დაიხარა. განდაგან შემოხვია მკლავები, მაშინვე დაძრა, მაგრამ ვერ აიტანა, უხეშ, დაკორძებულ ხელებშუა გაუსხლტა ლოდი.

ახლა მეორე მხრივ მიუდგა ხიზამბარელი ლოდს, ხვნეშით გადააბრუნა და თავ-ბოლოს გაუწვდინა უშველებელი მკლავები, ასწია და კვნესაც ამოხდა. მუხლისთავებს მისწვდა ლოდის მარჯვენა თავი... შებარბაცდა ლოდი, ცოცხალივით შეტორტმანდა, ისევ მიწას დაენარცხა, ხიზამბარელიც შებარბაცდა, ლოდთან დაღლილი ხარივით ჩაიჩოქა და თავი დარცხვენით დახარა.

ამ დროს გალმამხრელი მივიდა და გაოგნებულ კალატოზს ყურში დაცინვით ჩასძახა:

— ქაფჩით ასწიე, კალატოზო, შენი ქაფჩით!

ხიზამბარელი უცებ შეინძრა, ეგრევე დაჩოქილი, სულ ახლოს მიუჩოჩდა ლოდს, მუხლისთავები მის ძირს მიაბჯინა, მკლავები ახლა ზემოდან გადაავლო, მუხლებზე გადმოიწვინა და დიდი ვაივაგლახით, ლოდიანად წამოდგა. წამოდგა და წელში გაიმართა. რამდენიმე წამს მუხლებზემოთ ეჭირა ლოდი და ზედ დაჰყურებდა. ჯიშიანი კბილები ერთმანეთზე ისე მაგრად დაებჯინა, თითქოს ლოდი კბილით უჭირავს და ხმის ამოღებისა ეშინიაო.

— ცხენი!— წამოიძახა უცებ თარხნიშვილმა.—ცხენი მოიყვათ!

ბიჭებმა ალკაზმული ცხენი შემოიყვანეს მოედანზე და ხიზამბარელის წინ დააყენეს.

ხიზამბარელმა ოდნავ დაიწია, დადაბლდა, ლოდს ქვემოდან შეუდგა, მხარიც მიაშველა, ასწია, ცხენის ზურგს ააცილა, უკანასკნელი ღონით ამოიქშინა და ლოდი ცხენზევით გადააგდო. ცხენმა დაუნაგრებელი წელი უნებურად დაბლა დასწია, თითქოს ქარის მოძრაობით იგრძნო, რომ ზურგზე რაღაც მძიმე გადაევლო.

ხალხი აღტაცებული შეძახილებით მიმართავდა ხიზამბარელს. აღარ იცოდნენ სიხარულით რით გამოეხატათ. ამილახვარი მივიდა ხიზამბარელთან, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ხიზამბარელო, მართლაც ვაჟკაცი ყოფილხარ, მარჯვენა გიკურთხოს ღმერთმა. რაც გინდა მთხოვე!

— ჩემი თხოვნა ის იქნება, საჭიდაო დააკვრევინოთ და თქვენი ყმა გამომიყვანოთ, წელან ჩემი ქაფჩა აუგად რომ ახსენა. —პირქუშად თქვა ხიზამბარელმა და იქვე მდგარ მეზურნეებს გადაავლო თვალი.

გაისმა ზურნის ხმა და დოლის ბრაგუნი. შეიკრა წრე და გალმამხრელი ბიჭი საჭიდაო ჩოხით წრეში ღიმილით შემოვიდა. მიუხედავად დაღლილობისა, ხიზამბარელმა ხელის ჩამორთმევისთანავე ღონივრად ჩაბღუჯა თავისი მეტოქე, მარცხენა ხელით იღლია გაუკავა, მარჯვენათი ასწია და თავდაყირა ატაცებული მაღლა ასწია. გალმამხრელი ფეხებს იქნევდა, თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ხიზამბარელი დათვივით ბუხუნებდა, ლოდთან შედარებით ბურბუშელასავით ეჩვენებოდა მოწინააღმდეგე. ცალი თვალით დაბლა იყურებოდა და დასანარცხებელ ადგილს არჩევდა. უცებ ჰაერში შეატრიალა, ფეხზე დააყენა და ხელებით დაიჭირა. ხალხი ხიზამბარელის ქველმოქმედებამ კიდევ უფრო ალაფრთოვანა. ხიზამბარელს თითქოს სხვა რაღაც აწუხებსო, წრიდან არ გადიოდა, შერცხვენილ ბიჭს უცნაური ღიმილით ათვალიერებდა. ბოლოს ხმადაბლა უთხრა:

—ბიჭო, შენ რომ არ გაგემწარებინე, ამ ლოდს რა ამაწევინებდა? — უთხრა და ლურჯ ლოდს გაოცებით დახედა. ხალხიც ლოდს დააშტერდა.

აღტაცებულმა თარხნიშვილმა კაკლის ქვეშ სუფრა გააშლევინა. საპატიო სტუმრები მოიწვია, მათ შორის ხიზამბარელიც. ხიზამბარელს მოხადეს ქუდი ვერცხლისათვის, ცხენიც გაუმზადეს.

ხიზამბარელის სახეზე სიხარულს ვერ ამჩნევდნენ, თითქოს ის სულ სხვა საქმით იყო გართული. ადგა ახოვანი, მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცი, მარგილივით გრძელი, ძვალმსხვილი მკლავებით, ფქვილის სამტკაცისოდენა ბრიალა თვალებით, გრძელი, დაბლა დაშვებული წაბლისფერი ულვაშებით, გამომწვევი კეთილი ღიმილით.

თარხნიშვილის სუფრაზე ხიზამბარელს დიდხანს აღარ მოუცდია. შეუმჩნევლად წამოდგა, მოედანი გადასჭრა და ერთი პატარა სენაკისაკენ წავიდა. თავადმა ბიჭებს რაღაც ანიშნა და უკან დაადევნა. ხიზამბარელმა სენაკის წინ გრძელ საბელზე გამობმული თეთრონი დაინახა, ცხენი ბალახს წიწკნიდა და ფრუტუნებდა. სენაკის კარს ხელი ჰკრა და შევიდა.

აქ მისი გუდა-ნაბადი ეწყო ტახტზე. გუდაში სამი თვის ნამუშევარი სპილენძის ფული ეყარა, სავსე არ იყო, მაგრამ არც ბევრი აკლდა.

როცა ბედის საძიებლად ნოსტედან აქეთ მოდიოდა, ეს თხის გუდა დედამ ქუმლით გაუვსო და ღიმილით უთხრა, ფულით გატენილი მოგეტანოსო... აჰა, ეს ნატვრაც შეუსრულდა. დანიშნულსაც თვალი გზისკენ უჭირავს.

სენაკში თარხნიშვილის ბიჭები შემოვიდნენ და ნაბდის ქუდით ვერცხლი შემოუტანეს. ხიზამბარელმა გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს, გაუნძრევლად იდგა, გუდაზე თვალით ანიშნა.

ბიჭებმა გუდას პირი მოხსნეს, სპილენძს ვერცხლი დააყარეს, ქუდი თავზე ჩამოარტყეს და სიცილით გავიდნენ.

ხიზამბარელს თავბრუ დაესხა... ვერ მიმხვდარიყო, სიხარულმა დაახვია თავბრუ თუ იმ ყრუ ტკივილმა, რამაც თარხნიშვილის სუფრაზე აუფორიაქა გული. პირზე ხელი მოისვა, ღვინო ყელში ამოსდიოდა, ვერც იმას მიხვდა, ეს მეტი სმით ატეხილი გულისრევა იყო თუ გულ-მკერდში ჩაქცეული სისხლი. დაახველა, გაფიცხებული ტუჩები ქიაფრად შეეღება, წითლად დაეწინწკლა ახალოხის თეთრი გულისპირი. ტახტთან მივიდა, გუდაში ხელი ჩაყო და ამოურია, მერე პირი მოუკრა და ორივე ხელით ასწია. გუდა მძიმე არ იყო, მაგრამ ემძიმა, მწარედ გაიღიმა და ამოიძახა: „ვაჰმე, ხიზამბარელო, არ იკმარე შენი ალალი ქაფჩის მონაგარი სპილენძი, საჭიდაო ვერცხლსაც წაეტანე და ახია შენზე!“.

გუდა წამოიკიდა, დაკეცილ ნაბადს დასწვდა და გარეთ გამოვიდა.

თეთრონისათვის საბელი დაემოკლებინათ და სენაკის მოაჯირით ბოძზე გამოებათ... გუდა-ნაბადი უნაგირს უკან დააკრა და ცხენს ლაგამი ამოსდო.

ირგვლივ მთვრალი ხალხი ირეოდა, რაღაცას შესძახოდნენ, ვიღაცამ მხარზე ხელიც დაჰკრა, გზა დაულოცა. თეთრონმა მხედრის სიმძიმე იგრძნო, დაიფრუტუნა და გზას დაადგა.

ცხენმა ძლევის ქედის აღმართი გადაიარა, გაივაკა და ნოსტეს ბილიკს დაადგა. ბილიკი ტყის პირს მისდევდა. ღამდებოდა, ტყე ბინდად მოჩანდა, ქარის ამოქროლებაზე ავად შრიალებდა, გზის ნახევარი ისე გაილია, ხიზამბარელს უკან არ მოუხედავს. თავი გაბრუებოდა და დამძიმებოდა. ქედის მობრუნებაც კი უჭირდა. შავი ტყის პირას გაწოლილი უცხო გზა და უცნაური მხედარი აფეთებდა ცხენს. მხედარი ამას ვერ გრძნობდა, თანდათან უსუსტდებოდა მაჯა, უდუნდებოდა სხეული და მძიმედ აწვებოდა უზანგებს.

ცალი ფეხი ჩაუსხლტა, მხედარი გაქანდა და მარცხნივ გადაიხარა. შეწუხებული ცხენი თავს წარამარა ურჩად აქნევდა, ლაგამს ხრავდა და ხვიხვინებდა.

ხიზამბარელმა აღვირი უღონოდ მოსწია, ცხენზე ჯდომა უკვე აღარ შეეძლო, ტკივილი მთელ სხეულში უვლიდა, წელში თითქოს ხანჯალი ჰქონდა გაყრილი. ცხენი მორჩილად შეჩერდა. ტყის პირას სიბნელე გაწოლილიყო, გზაზე არავინ ჭაჭანებდა. წვალებით ჩამოქვეითდა, ცხენი ბუჩქზე გამოაბა და იქვე გულაღმა წამოწვა... სუნთქვა უჭირდა, ქოშინებდა, გულაღმა წოლასაც ვერ გაუძლო. გვერდზე გადაბრუნდა და თვალი მოხუჭა, ბურანს მიეცა. თითქოს თარხნიშვილის წამოძახილი მოესმა: „ხიზამბარელო, სიკვდილსაც დავიწყებიხარ!“. დილას ბედნიერი იყო ხიზამბარელი, როცა ეს სიტყვები გააგონეს, ახლა კი სიკვდილს ებრძვის. აი, რა არის წუთისოფელი, რა მუხთალი, რა დაუნდობელი, კაცი, რომელიც ეროვნულ გმირად იქცა, საუკეთესო სისწრაფის, მოქნილობის, ჭიდაობის საუცხოო ტექნიკით, მძლეთა-მძლე თავისი ფიზიკური მონაცემებით, საჭიდაო ქვამ შეიწირა.

დილას ორი-სამი ყანწი შუბათური ღვინო ჰქონდა გადაკრული, იდგა და სეირს უყურებდა მუხასავით ფესვგადგმული, გუდა სპილენძი ჰქონდა თავისი შრომით შეძენილი, ამ სპილენძის ფულით დედის გახარებას ფიქრობდა და ქორწილსაც აპირებდა. ახლა კი, საღამოს, სიკვდილს ებრძვის, აღარ ესმის „დაღამდა თუ თვალთ უბნელდებოდა“. გაიფიქრა და თვალები მოისრისა, მერე ქურანი დაინახა, ხელი აუქნია, შემფრთხალმა ცხენმა დაიფრუტუნა. აიყალყა, ისკუპა, საბელი აიწყვიტა და სიბნელეში თეთრი ნისლივით გაიქროლა. ხიზამბარელმა ამოიკვნესა: „ვაი შენ, ხიზამბარელო... შენი საჭიდაო ბედაური სიკვდილად მოგეჩვენა და, ასეც არი, შენი ვაჟკაცობის ჯილდო ამ გზაზე სიკვდილი ყოფილა“. შინამდე მაინც მიეღწია. უბედური დედა შავ ლოგინს გაუშლიდა და დაიტირებდა, საჭიდაო ვერცხლით კუბოს უყიდდა, ხარჯს გასწევდა, ბედაურს უკუღმა ალკაზმავდა და მიცვალებულის კუბოს წინ წაუძღოლებდა.

ახლა აღარც ცხენი, არც ვერცხლი, აღარც გუდა-ნაბადი, ბედმა თვალწინ დაცინვით გაუქროლა და ყველაფერი ერთად წარიტაცა. როგორი დილა გაუთენდა და როგორ უღამდება!

მართლაც სირცხვილია ამ გზის პირას სიკვდილი. ვინმე გამოივლის და გულაღმა მწოლარე ხიზამბარელს წააწყდება. სირცხვილია ასეთი სიკვდილი. ჯობდა იქვე მომკვდარიყო, ის ლოდი გულზე დასცემოდა და გაესრისა.

ამ ფიქრით გაფორთხდა ტყისაკენ, სადაც დაასრულა თავისი მშვენიერი სიცოცხლე.

მართლაც რომ მხოლოდ თავგანწირვის, სისხლის ფასად არის შესაძლებელი უმაღლესი ზღვარის დაძლევა.

რ. კრიჟინაშვილი.



* * *

სურათზე: სოფელი კავთისხევი. გიორგი შატბერაშვილის ძეგლი. მის უკან საჭიდაო ქვა.

დაბეჭდილი. [illegible] „ლელო“ № 11.

● მძლეოსნობა



საგზური თბილისელებმა მიიღეს

საქართველოს პროფკავშირთა მძლეოსნობის სასახლე ამ დღეებში ზედიზედ მესამე რესპუბლიკურ ტურნირს მასპინძლობს: ის-ის იყო სპორტსკოლების შეჯიბრება დამთავრდა, რომ აქ მოზრდილთა საკავშირო თასის გუნდური გათამაშების ზონალური პირველობის მონაწილენი შეგროვდნენ, გუშინ და დღეს კი სასახლის ბილიკები და სექტორები საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში მოასპარეზეებს დაეთმო.

საკავშირო თასის ზონალურ ტურნირში ქალაქების ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ. ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა: თბილისის (149 ქულა), ქუთაისის (73), ბათუმის (72), სოხუმის (22) და რუსთავის (19) გუნდები. როგორც შედეგები ცხადყოფს, სოხუმისა და რუსთავის საქალაქო სპორტკომიტეტებს, მძლეოსნობის ფედერაციებს მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ თავი იმისათვის, რომ ახალი სეზონის პირველ სტარტებში წარმატებით ესპარეზათ. გულგრილობით ორთავეს ცხინვალის სპორტის მესვეურებმა აჯობეს, რომლებმაც ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას საერთოდ აარიდეს თავი.

ცხადია: როგორ მოსავალსაც ჩაუყრი საფუძველს, ისეთივეს მოიმკი. სოხუმში, რუსთავში, ცხინვალში კი, როგორც ჩანს, ამაზე არ ფიქრობენ და თუ მდგომარეობა ახლავე არ გამოასწორეს, საეჭვოა ეს ორგანიზაციები რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებს, საქართველოს პირველ გუნდს რამეში გამოადგეს.

პირადი შედეგებიდან საკავშირო სტანდარტების შესაბამისი მაჩვენებლებით არავინ გამოირჩეოდა, მაგრამ სეზონის დასაწყისისთვის რამდენიმე საიმედო შედეგის მოწმენი მაინც გავხდით. თბილისელმა ა. ამოსოვმა, რომელსაც ახლა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზ. დიაჩკოვი ავარჯიშებს, ჭოკით 520 სმ სიმაღლე დაძლია და საქართველოს ზამთრის მიღწევა დაამყარა.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს გ. ჩადუნელმა, რომელიც 734 სმ სიგრძეზე გადახტა, ლ. ბლიაძემ 60 მეტრზე თარჯრბენში 7,9 წამი აჩვენა, გ. მიქაძემ ბირთვი 15,81 მეტრზე ჰკრა. ქალთა შეჯიბრებაში სოხუმელმა ტ. რევამ 200 მეტრი 26,8 წამში გაირბინა...

როგორც უკვე ვთქვით, ზონალურ პირველობაში თბილისელებმა იმარჯვეს და მოიპოვეს საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალში გამოსვლის უფლება. ეს შეჯიბრება 29–30 იანვარს დონეცკში გაიმართება.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — 60 მეტრზე ვაჟების თარჯრბენი. მარცხნიდან პირველია გამარჯვებული ლ. ბლიაძე; ქვევით — ბათუმელი ხ. ტეტუკაევა, რომელმაც ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ჭადრაკი

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 კაცი მონაწილეობს.

პირველ დღეს მხოლოდ ინგლისელმა ჯ. ნანმა შეძლო მეტოქის დამარცხება — ბრაზილიელ ჟ. სუნიე-ნეტოს მოუგო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა (სსრ კავშირი) პარტია მ. ჩანდლერთან (ახალი ზელანდია) 57-ე სვლაზე გადადო.

დაზავდნენ: ი. ბალაშოვი (სსრ კავშირი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ლ. კრისტიანსენი (აშშ) და ი. ტიმანი (ჰოლანდია), ლ. კავალეკი (აშშ) და რ. ჰიუბნერი (გფრ), პ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია) და ჯ. ვან დერ ვილი (ჰოლანდია).

● მძლეოსნობა

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე გამართულ საბჭოთა კავშირის თასის გუნდური გათამაშების ზონალურ შეჯიბრებაში ლენინგრადელმა სპრინტერმა ვ. შერშენმა 200 მეტრი 21,6 წამში გაირბინა და დარბაზებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევა დაამყარა.

უჩვეულო ამბავი მოხდა **მელბურნის** (ავსტრალია) ოლიმპიურ სტადიონზე: 200 მეტრზე გარბენისას, როცა სპრინტერები საფინიშო სწორზე გავიდნენ, ბილიკებზე გამოჩნდა აბორიგენთა ჯგუფი, რომელსაც ავსტრალიის მკვიდრთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა სურდა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ მორბენლებს სისწრაფის შენელება გაუჭირდებოდათ. შეტაკების შედეგად ამერიკელი სპრინტერები ლეტენი და კენტი დაშავდნენ.

ამ საერთაშორისო შეჯიბრების შედეგებიდან აღსანიშნავია სამხტომში ამერიკელ ბენქსის მაჩვენებელი — 16,81 მ, მილზე რბენაში სკოტის (აშშ) დრო—3.55,91. შვედმა ელდებრინკმა შუბი 86,74 მეტრზე ტყორცნა.

პანორამა

● ბიატლონი

ბიატლონისტთა მსოფლიო თასის გათამაშების I ეტაპის შეჯიბრება შვეიცარიის ქალაქ ეტცელის მიდამოებში მოეწყო. „მსროლელი მოთხილამურეები" 20 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. პირველობა მოიგო ნორვეგიელმა ს. ენგენმა — 1:08.37. იგი მხოლოდ 3 წუთით დაჯარიმდა. საბჭოთა ნაკრები, რომელიც რაუბიჩის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, ამ შეჯიბრებაში არ გამოდიოდა. ქვეყნის II ნაკრების წევრმა ა. აკულევიჩმა (მინსკი) V ადგილი დაიკავა.

● თხილამურები

ლა-ბრესეს (საფრანგეთი) მიდამოებში გაიმართა სათხილამურო რბოლებში ქალთა მსოფლიო თასის გათამაშების II ეტაპის შეჯიბრება. კვლავ წარმატებას მიაღწია კ. იაროვამ (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც 5 კილომეტრი 15,08,01-ში დაფარა. მომდევნო [illegible] გავიდნენ ნორვეგიელი [illegible]-ლი (15.15,03) და მ. მიურმერი — 15.22,0. საბჭოთა სპორტსმენებიდან (უძლიერესნი შეჯიბრებაში არ გამოდიოდნენ) საუკეთესო იყო მ. ტომაშევიჩი, რომელმაც X ადგილი დაიკავა. თასის ჩათვლაში ორი ეტაპის შემდეგ იაროვას 52 ქულა აქვს და 17 ქულით ასწრებს მიურმერს. ტომაშევიჩი V ადგილზეა.

● სამთო სათხილამურო სპორტი

გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშების მორიგი სტარტები.

გრინდელვალდში (შვეიცარია) ქალები 3200-მეტრიან სწრაფდაშვების ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კვლავ წარმატებას მიაღწია კანადელმა სორენსენმა—2.00,14. მას 0,45 წამით ჩამორჩა ი. ეპლე (გფრ). ამ ეტაპის შემდეგ თასის გათამაშების სათავეში მოექცა ეპლე, რომელსაც ახლა 217 ქულა აქვს და ორი ქულით ასწრებს შვეიცარიელ ჰესს.

ვაჟები **კიცბიუელში** (ავსტრია) სწრაფდაშვებაში (3510 მ) ცდილნენ ძალას. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული ეტაპი. წარმატებას მიაღწია 23 წლის ავსტრიელმა ჰ. ვაირატჰერმა, რომელმაც საშუალოდ 107,82 კმ სისწრაფე განავითარა და ფინიშთან 1.57,2 აჩვენა. კანადელი ს. პოდბორსკი, რომელიც მეორე იყო, მას 0,69 წამით ჩამორჩა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო გახლდათ ვ. ციგანოვი — 1.58,62 (IX ადგილი).

უძლიერესნი მოსწავლეთა შორის

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში რუსთავში გაიმართა საქართველოს მოზარდთა პირველობა 64-უჯრიან შაშში. ამ ფოტოებზე, რომლებიც რ. ბაბრიშვილმა გადაიღო, აღბეჭდილნი არიან გოგონათა შორის გამარჯვებული სამტრედიელი მოსწავლე შ. ბოლქვაძე (მარცხნივ) და ვაჟთა შორის უძლიერესი სოხუმელი ე. იზრაელიანი.

ავტო ემორჩილება... ხმას

როგორც იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი ავტოსამშენებლო კომპანია „ნისონის" ფირმის წარმომადგენლები ამტკიცებენ, მათ საკონსტრუქტორო ბიუროში შეიმუშავეს ავტომობილი, რომლის მართვა შეიძლება ფეხით და ხმით, ამის წყალობით საჭეს შეუძლია მიუჯდეს უხელო ადამიანი.

მოდელი აღჭურვილია დაუჩუტავი საბურავებითა და უსაფრთხოების ქამრებით, რომელიც ავტომატურად იკეტება, როგორც კი შოფერი თავის ადგილს დაიკავებს. ძრავის ამუშავება, სიჩქარეების გადართვა, აგრეთვე, მათი მანევრირება სატერფულის საშუალებით ხდება.

შუქისა და წინა მინის საწმენდი ჯაგრისების ჩართვა ბრძანების საშუალებით ხდება. მიკროკომპიუტერი, რომელიც დგას ავტომობილში, არკვევს ბრძანების ხასიათს და თანახმად წინასწარი ინსტრუქციისა, შესაბამის მოძრაობებს აკეთებს.

მიუხედავად ამისა, „ნისონის" ამ სიახლეს სერიული გამოშვება არ უწერია. ჯერ ერთი, იაპონიაში მოქმედი კანონის მიხედვით, უხელოდ ტრანსპორტის მართვის უფლება აკრძალულია. მეორეც ის, რომ ამ მანქანის ფასი ორჯერ მეტია იმასთან შედარებით, რის ბაზაზეც იგი შეიქმნა.

გუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, მე-3 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 39 (მთამსვლელობა), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (ციგაობა), 27 (მშვილდოსნობა).

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ...



— ხტომის ახალ სტილს დავეუფლე. გამოგონება ჩემია!



— ტრამპლინიდან ხტომამდე წყალში ხტომის სექციაში დადიოდა.

ვ. კუციას ნახატები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და რესპუბლიკის ცურვის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სპორტის სახეობათა კათედრის დოცენტი

შალვა ნესტორის ძე მუსასტიკოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 08032